

პროგრამული უზრუნველყოფის ამოცანა

ა - ზოგადი ინფორმაცია

1. შიდა რეგულაციის მიმოხილვა	
1.1. შიდა რეგულაციის სახეობა:	პროგრამული უზრუნველყოფის მოთხოვნის ფორმა
1.2. ცვლილების დასახელება: *	ვებ საიტი ფუნქციებისა და სტანდარტებისთვის
1.3. Change ID #	C20OU051
1.4. ბიზნეს მიმართულება *	OU
1.5. ვერსია *	01
1.6. შექმნის თარიღი *	06/11/2020
1.7. ინიციატორი *	ევექსი კლინიკები
2. პროგრამული უზრუნველყოფის აღწერა *	
<p>პროგრამული უზრუნველყოფის შინაარსი გულისხმობს ევექსი კლინიკების ქსელის თანამშრომლებისთვის ვებ საიტის შექმნას, სადაც შესაძლებელი იქნება, ქსელში არსებული ფუნქციებისა და ფუნქციების შესაბამისი საზომი სტანდარტების მოძიება, გაცნობა, დაკავშირებული დოკუმენტაციის, პროცედურების, რეგულაციებისა და რეპორტების გაცნობა.</p>	

1. პროცესის ნაბიჯები - სისტემის მომხმარებლის მიერ შესასრულებელი ნაბიჯები

#	ნაბიჯი	მოკლე აღწერა	მომხმარებელი
1	ვებ გვერდის ადმინისტრირება	საჭიროა, რომ ადმინისტრატორს შეეძლოს, შექმნილ ვებ გვერდზე შექმნას, დაამატოს, შეცვალოს ან წაშალოს მიმართულებებისა და დეპარტამენტების მიხედვით განსაზღვრული შესასრულებელი ფუნქციები. ფუნქციებზე შეძლოს, სტანდარტის შესრულების საზომი ერთეულის (შემდგომ ტექსტში „სტანდარტი“) განსაზღვრა. შეძლოს, შესრულების სტანდარტთან დაკავშირდეს შიდა პროცედურები, რეგულაციები და რეპორტები.	ადმინისტრატორი
2	ვებ გვერდზე არსებული ინფორმაციის გაცნობა	ვებ გვერდზე მომხმარებელს შეეძლოს, მოძებნოს, შეინახოს, დაათვალიეროს, საიტზე საკუთარ ფოლდერში განათავსოს კონკრეტული ფაილები.	სისტემის მომხმარებელი

1. ფუნქციონალური მოთხოვნები

მოდული	მომხმ არებე ლი	ფუნქციონალური მოთხოვნის აღწერა	შესაბამისი ველების აღწერა	ნაბიჯი
ფუნქციების ა და სტანდარტე ბის მართვა	ადმინ ისტრა ტორი	შეეძლოს ფუნქციის დამატებისთვის საჭირო ველების განსაზღვრა.	თითოეული ფუნქციის შექმნისთვის ადმინისტრატორმა უნდა შეავსოს კონკრეტული ველები. ადმინისტრატორს უნდა შეეძლოს, ველების დამატება საჭიროებისამებრ ისე, რომ ფუნქციის შექმნისას ადმინისტრატორის მიერ წინასწარ განსაზღვრული ველების შევსება იყოს შესაძლებელი.	სისტემის ადმინისტრირება - ფუნქციის შექმნისთვის შესავსები ველების განსაზღვრა
ფუნქციების ა და სტანდარტე ბის მართვა	ადმინ ისტრა ტორი	შეეძლოს, შექმნას/დაამატოს ფუნქცია	ადმინისტრატორს შეეძლოს, შექმნას ფუნქცია ისე, რომ ფუნქციის შექმნისას სისტემამ შესავსებად გამოუტანოს ადმინისტრატორის მიერ წინასწარ განსაზღვრული შესავსები ველები.	სისტემის ადმინისტრირება - ფუნქციის შექმნა
ცნობარები	ადმინ ისტრა ტორი	შეეძლოს, ფუნქციის რეგისტრაციის თითოეული ველისთვის შექმნას ცნობარი	ფუნქციის რეგისტრაციისას ადმინისტრატორის მიერ წინასწარ განსაზღვრულ ველებზე ადმინისტრატორს შეეძლოს, შექმნას შესაბამისი ცნობარები. თითოეული ველის შევსებისას ინფორმაციის შევსება მოხდეს წინასწარ შექმნილ ცნობარში არსებული ჩამონათვალიდან. შესავსები ველებისა და ცნობარების შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ, იხ. დანართი #1-ში. მაგალითად : პოზიციების/დეპარტამენტების ცნობარი.	სისტემის შექმნის ადმინისტრირება - ცნობარის შექმნა
ფუნქციების ა და სტანდარტე ბის მართვა	ადმინ ისტრა ტორი	შეეძლოს სტანდარტის დამატებისთვის საჭირო ველების განსაზღვრა.	თითოეულ ფუნქციაზე სტანდარტის შექმნისთვის ადმინისტრატორმა უნდა შეავსოს კონკრეტული ველები. ადმინისტრატორს უნდა შეეძლოს, ველების დამატება საჭიროებისამებრ ისე, რომ ფუნქციაზე სტანდარტის შექმნისას ადმინისტრატორის მიერ წინასწარ განსაზღვრული ველების შევსება იყოს შესაძლებელი.	სისტემის ადმინისტრირება - სტანდარტის შექმნისთვის შესავსები ველების განსაზღვრა
ფუნქციების ა და სტანდარტე ბის მართვა	ადმინ ისტრა ტორი	შეეძლოს, კონკრეტულ ფუნქციაზე შექმნას/დაამატოს სტანდარტი	ადმინისტრატორს შეეძლოს, ფუნქციის ჭრილში/ქვეშ შექმნას სტანდარტი ისე, რომ სტანდარტის შექმნისას სისტემამ შესავსებად გამოუტანოს ადმინისტრატორის მიერ სტანდარტის შექმნისთვის წინასწარ განსაზღვრული ველები.	სისტემის ადმინისტრირება - სტანდარტის შექმნა
ფუნქციების ა და სტანდარტე ბის მართვა	ადმინ ისტრა ტორი	შეეძლოს, სტანდარტზე დაამატოს ერთი ან რამდენიმე დოკუმენტი	ადმინისტრატორს შეეძლოს, ფუნქციის ჭრილში/ქვეშ შექმნილ სტანდარტზე, წინასწარ განსაზღვრულ შესავსებ ველებზე დაამატოს ერთი ან რამდენიმე დოკუმენტი ან ვებ მისამართი/ლინკი.	სისტემის ადმინისტრირება - დოკუმენტების / ლინკების მიზმა
ფუნქციების ა და სტანდარტე ბის მართვა	ადმინ ისტრა ტორი	შეეძლოს, შეცვალოს ფუნქცია	ადმინისტრატორს უნდა შეეძლოს შექმნილი ფუნქციის შესავსები ველების რედაქტირება. შეცვლისას ადმინისტრატორს სისტემამ უნდა გამოუტანოს იგივე პოპ აპი, როგორც ფუნქციის შექმნისას ივსება - იგივე ველებით. შესაძლებელი უნდა იყოს ნებისმიერ ველში ცვლილების შეტანა ან ველში დაფიქსირებული ინფორმაციის წაშლა.	სისტემის ადმინისტრირება - ფუნქციის ცვლილება
ფუნქციების ა და სტანდარტე ბის მართვა	ადმინ ისტრა ტორი	შეეძლოს, შეცვალოს სტანდარტი	ადმინისტრატორს უნდა შეეძლოს ფუნქციის ჭრილში/ქვეშ შექმნილი კონკრეტული სტანდარტის მონაცემების რედაქტირება.	სისტემის ადმინისტრირება - სტანდარტის ცვლილება

			შეცვლისას ადმინისტრატორს სისტემამ უნდა გამოუტანოს იგივე პოპ აპი, როგორც სტანდარტის შექმნისას ივსება - იგივე ველებით.	
			შესაძლებელი უნდა იყოს ნებისმიერ ველში ცვლილების შეტანა ან ველში დაფიქსირებული ინფორმაციის წაშლა.	
ფუნქციების ა და სტანდარტების მართვა	ადმინისტრატორი	შეეძლოს აღწეროს ცვლილების შინაარსი	ფუნქციის ან სტანდარტის ცვლილებისას ადმინისტრატორს შეეძლოს, გააკეთოს ცვლილების შინაარსის მოკლე აღწერა. ცვლილების შინაარსის აღწერისთვის უნდა არსებობდეს თავისუფალი ბეჭდური ველი.	სისტემის ადმინისტრირება - ცვლილების შინაარსის აღწერა
ფუნქციების ა და სტანდარტების მართვა	ადმინისტრატორი	შეეძლოს, მეილით გაგზავნოს შეტყობინება ცვლილების შესახებ	ადმინისტრატორს შეეძლოს, საჭიროების შემთხვევაში ნებისმიერი ცვლილების შესახებ ინფორმაცია გაგზავნოს მეილის სახით სისტემის ყველა მომხმარებელთან. მეილის შინაარსი უნდა შედგებოდეს ცვლილების ტიპისგან (რომელ ნაწილში შევიდა ცვლილება) და ცვლილების აღწერილობითი ნაწილისგან, რომელსაც ადმინისტრატორი ცვლილების განხორციელებისას ავსებს. ნებისმიერი ცვლილების ასახვის დასრულებამდე შეიძლება ჩვე ბოქსის მონიშვნა, გაიგზავნოს თუ არა შეტყობინება სისტემის მომხმარებლებთან ; მომხმარებლებთან მეილით გაიგზავნება ცვლილების შინაარსის შესახებ გაკეთებული კომენტარი.	სისტემის ადმინისტრირება - ცვლილების შესახებ მეილის გაგზავნა
მთავარი	System	ცვლილების შესახებ შეტყობინების პოპ აპი	ადმინისტრატორის მიერ ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, მომხმარებლის მიერ სისტემაში შესვლისას სისტემამ ერთჯერადად გამოიტანოს ცვლილების შეტყობინების პოპ აპი, სადაც დაფიქსირდება : <ul style="list-style-type: none"> - ცვლილების ტიპი - ცვლილების თარიღი - ცვლილების აღწერა (რასაც ადმინისტრატორი აკეთებს). <p>სისტემამ პოპ აპი უნდა გამოიტანოს მხოლოდ იმ ცვლილებების შემთხვევაში, რომლებზეც მოხდა მომხმარებლებთან მეილის გაგზავნა ადმინისტრატორის მიერ.</p>	ცვლილების პოპ აპი
მთავარი	System	ცვლილების ვიზუალური გარჩევადობა ფუნქციებისა და სტანდარტების ჩამონათვალში	თუ ფუნქციაში ან სტანდარტში დამატება/ცვლილება განხორციელებულია მიმდინარე თარიღის მიხედვით ბოლო ერთი კვირის მანძილზე, ფუნქცია და სტანდარტი იყოს აღნიშნული განსხვავებული ფერით. სასურველია, რომ ფუნქციების/სტანდარტების ჩამონათვალში იყოს დამატებითი სვეტი, რომელშიც გამოტანილი იქნება ცვლილების შესახებ ადმინისტრატორის მიერ მითითებული მოკლე აღწერა.	ცვლილების გარჩევადობა ცვლილებიდან 1 კვირის მანძილზე.
არქივი	System	ძველი დოკუმენტაციის დაარქივება	იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრატორმა ჩაანაცვლა სტანდარტზე მიმაგრებული დოკუმენტი, ლინკი ან რეპორტი, სისტემამ ჩანაცვლებული მონაცემი ავტომატურად გადაიტანოს არქივის ცალკე ფოლდერში, სადაც შესაძლებელი იქნება დაარქივებული დოკუმენტაციის მოძიება დოკუმენტის დასახელებით, ფუნქციის ან სტანდარტის დასახელებით.	ჩანაცვლებული დოკუმენტაციის დაარქივება
მთავარი	მომხმარებელი	შეეძლოს სისტემაში გაიაროს რეგისტრაცია / ავტორიზაცია	მომხმარებელმა, იმისთვის, რომ შეეძლოს ვებ საიტზე არსებული ინფორმაციის ნახვა, საჭიროა, გაიაროს რეგისტრაცია საკუთარი კორპორატიული მეილით და	რეგისტრაცია / ავტორიზაცია

			პაროლით.	
მთავარი	მომხმარებელი	მომხმარებლის უფლებები	მომხმარებელს აქვს მხოლოდ საიტზე არსებული ინფორმაციის მოძებნისა და დათვალიერების უფლებები. არ შეუძლია ინფორმაციის დამატება, შეცვლა ან წაშლა.	მომხმარებლის უფლებები
მთავარი	მომხმარებელი	სასურველი დოკუმენტის გენერაცია	მომხმარებელს შეეძლოს, სისტემაში მიმაგრებული ნებისმიერი დოკუმენტი გაიგზავნოს საკუთარ კორპორატიულ მეილზე, რომელსაც იყენებს ავტორიზაციისთვის. სისტემაში არსებობდეს მეილზე გაგზავნის ლილაკი, რომლითაც ვებ საიტი დააგენერირებს და მეილზე გაგზავნის მოთხოვნილ დოკუმენტს.	დოკუმენტის მეილზე მიღების ფუნქცია
მთავარი	მომხმარებელი	სასურველი ინფორმაციის მოძიება	შეეძლოს ძიება ფუნქციის, სტანდარტის ან პროცედურის შინაარსის მიხედვით ; სისტემის მომხმარებელს სვეტების მიხედვით გამოუჩნდეს ფუნქციების ჩამონათვალი, როგორც ეს დანართი #1-ში, "Functions" გვერდზეა წარმოდგენილი. ფუნქციაზე გადასვლის შემდეგ მომხმარებელს შეეძლოს, გადავიდეს არჩეულ ფუნქციაზე დამატებულ რომელიმე სტანდარტზე დანართ #1-ში "EVEX_standards" გვერდზე წარმოდგენილ სვეტებზე. მომხმარებელს შეეძლოს, გაარჩიოს, რომელ სვეტშია მიმაგრებული ფაილი, ლინკი და ა.შ. ძებნის საშუალებები : <ul style="list-style-type: none">- მომხმარებელს ძებნა უნდა შეეძლოს სისტემის მიერ გამოტანილი სვეტით (ფილტრაცია).- ფუნქციები უნდა იყოს დაჯგუფებული დეპარტამენტების/პოზიციების მიხედვით, ფუნქციაზე მითითებული დეპარტამენტის/პოზიციის დასახელებების მიხედვით. დეპარტამენტის/პოზიციების ჯგუფში შესვლისას მომხმარებელს უნდა უჩანდეს მხოლოდ კონკრეტულ დეპარტამენტზე/პოზიციაზე არსებული ფუნქციები, საიდანაც კონკრეტულ ფუნქციაზე გადასვლისას სტანდარტების გვერდი გაიხსნება ისე, როგორც ზემოაღწერილ შემთხვევაში.- საიტზე უნდა არსებობდეს საიტის რუკა, სადაც მომხმარებელი შეძლებს, გაარჩიოს, თუ რომელი ინფორმაციის მოძიება სად იქნება შესაძლებელი. შენიშვნა : UX/UI არის დეტალურად გასავლელი და შესათანხმებელი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მომხმარებლისთვის მარტივად იყოს შესაძლებელი სისტემაში ნავიგაცია, სასურველი ინფორმაციის მარტივად მოძიება და მიღება.	
მომხმარებლის ფოლდერი	მომხმარებელი	შეეძლოს საკუთარი ფოლდერის შექმნა	მომხმარებელს შეეძლოს, შექმნას საკუთარი ფოლდერი, სადაც შეინახავს მისთვის საინტერესო ფუნქციებს, სტანდარტებსა და დოკუმენტებს.	საკუთარი ფოლდერის შექმნა

შენიშვნა :

პროგრამული უზრუნველყოფის მოთხოვნის დოკუმენტს თან ერთვის :

- დანართი #1.1, სადაც დეტალურადაა წარმოდგენილი ფუნქციების სვეტები, სტანდარტების სვეტები და საცნობარო ინფორმაცია იმისთვის, რომ დეველოპერისთვის მარტივად აღქმადი იყოს პროგრამული უზრუნველყოფის შინაარსი.
- დანართი #1.2 სადაც წარმოდგენილია დეტალური ფუნქციონალური სპეციფიკაციები.